6 მაისს აღინიშნა გიორგობა, გიღლობავთ!

მუნიციპალიტეტის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №9(23) 2012 წ. 1-15 მაისი ფასი 50 თეთრი

თათბირი მუნიციპალიტეტის გამგეობაში

8 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ესწრებოდნენ გამგეობის სამსახურის უფროსები, ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულები, თათბირს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი უძღვებოდა.

თათბირზე ბატონმა გია ჩალათაშვილმა გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში წვიმების შემდეგ არსებული მდგომარეობა. როგორც გაირკვა, ზემო ყანდაურიდან წამოსულმა წყლის ნიაღვარმა ერთიანად გადაავსო ზემო ყანდაურისა და ყანდაურის დამაკავშირებელი გზა, მაგრამ მოსახლეობა არ დაზარალებულა – გზის გასწვრივ გასულ წელს გაკეთებულმა სანიაღვრე არხებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ძლიერი წვიმისაგან გამოწვეული ნიაღვრების ხევში ჩასატანად, თუმცა გზა უმნიშვნელოდ მაინც დაზიანდა,

თათბირზე დაისვა საკითხი და დაისახა გზები იმ ხევებზე არსებული ხიდების გასაწმენდი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობაზე, რომელიც რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებზეა.

თათბირის მონაწილეებმა იმსჯელეს სხვადასხვა საკითხებზე და დასახეს სამომავლო გეგმების განხორციელების ოპტიმალური გზები.

გამარჯვების დღე საგარეჯოში

9 მაისი, დიდი სამამულო ომის მონაწილეებს ფაშიზმზე გამარჯვების 67–ე წლისთავი მიულოცეს საგარეჯოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაზა გულიკაშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარემ ილია ჭიაურელმა,გამგებელმა გია ჩალათაშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა და რაიონის ახალგაზრდობამ, მათ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს და დიდების მემორიალები გვირგვინით შეამკეს.

აღნიშნულ დღესთან დაკავშირებით საგარეჯოს ცენტრალურ პარკში და პატარძეულის გმირთა სავანეში, მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ორგანიზებით საზეიმო ღონისძიებები გაიმართა, რომლის დასრულების შემდეგ ვეტერანები სადილზე მიიწვიეს.

მუნიციპალიტეტის
გამგეობის პრესსამსახური

მუნიციპალური გვერდი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

აპრილის ბოლო რიცხვებში გამართულ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას დეპუტატები, საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, მისი მოადგილე პაატა ბუზარიაშვილი, საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და მოწვეული პირები – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები შალვა ჯაბადარი და გიორგი ბეჟიტაშვილი ესწრებოდნენ. საკრებულოს თავმჯდომარემ საკრებულოს სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ მოხსენება გააკეთა *საკრებულოს თავმჯდომარემ* ილია ჭიაურელმა. მან ვრცლად მიმოიხილა გასული წლის ბიუჯეტის შესრულება. საკითხის ირგვლივ დეპუტატებმა იმსჯელეს და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

მეორე საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების დამტკიცების შესახებ“ სხდომის მონაწილეთა წინაშე ვრცელი მოხსენებით წარსდგა *საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურის უფროსი* ნინო ძურხული. როგორც მან აღნიშნა, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტმა, რომელიც დამტკიცებული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 დეკემბრის № 20 დადგენილებით, ცვლილება განიცადა 3–ჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 5612 ათასი ლარიდან გაიზარდა 11989,1 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 6377,1 ლარით, ცვლილება შეეხო როგორც საშემოსავლო, ასევე გადასახადების ნაწილს, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის 162 განკარგულებით „ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ” საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 987,85 ათასი ლარი; საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის 55 განკარგულებით „ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის თანხის გამოყოფის შესახებ” –310 ათასი ლარი;

გაიზარდა ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:

გაიზარდა სამხედრო სავალდებული სამსახურის გადავადების მოსაკრებელი – 1 ათასი ლარით; არაფინანსური აქტივების კლების კუთხით შემოსავალი გაიზარდა 3295,8 ათასი ლარით; არამწარმოებლური აქტივები – 3295,8 ათასი ლარით. განაწილდა 2012 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთი 1782,3 ათასი ლარი. შემცირდა სახელმწიფო ბაჟის გეგმა –4,8 ათასი ლარით.

2012 წლის პირველ კვარტალში გადასახდელები გაიზარდა 6377,1 ათასი ლარით; მათ შორის საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 300,1 ათასი ლარით; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 67,4 ათასი ლარით; ეკონომიკური საქმიანობა – 3552,7 ათასი ლარით; საბინაო–კომუნალური მეურნეობა – 1211,9 ათასი ლარით; დასვენება, კულტურა და რელიგია –558,7 ათასი ლარით; განათლება –553 ათასი ლარით; სოციალური დაცვა – 166,3 ათასი ლარით. შემცირდა გარემოს დაცვა – 18 ათასი ლარით; ჯანმრთელობის დაცვა – 14,5 ათასი ლარით;

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წლიურ გეგმასთან შედარებით შესრულდა 42 პროცენტით, გეგმიური 10206,8 ათასი ლარის ნაცვლად ბიუჯეტში შემოვიდა 4241,6 ათასი ლარი; მათ შორის:

საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი შესრულდა4 %–ით (გეგმა 450 ათასი ლარი, შესრულება 18,2 ათასი ლარი); ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი შესრულდა 15 %–ით (გეგმა 15 ათასი ლარი, შესრულება 2,3 ათასი ლარი); სასოფლო–სამეურნეო მიწაზე გადასახადი –21 %–ით (გეგმა 770 ათასი ლარი, შესრულება 162,6 ათასი ლარი); არასასოფლო–სამეურნეო მიწის გადასახადი – 9 %–ით (გეგმა 200 ათასი ლარი, შესრულება 17,5 ათასი ლარი); შემოსავალი დეპოზიტზე და ანგარიშზე დარიცხული პროცენტებიდან –131% (გეგმა 50 ათასი ლარი, შესრულება 65,5 ათასი ლარი); მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის –26%–ით (გეგმა 650,3 ათასი ლარი, შესრულება 171,3 ათასი ლარი); შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან 6 %–ით (გეგმა 5 ათასი ლარი, შესრულება 0,3 ათასი ლარი); სანებართვო მოსაკრებელი მშენებლობის დაწყებისათვის –95 %–ით (გეგმა 10 ათასი ლარი, შესრულება 9,5 ათასი ლარი); სახელმწიფო ბაჟი –106 %–ით (გეგმა 1,2 ათასი ლარი, შესრულება 1,3 ათასი ლარი); სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 100 %–ით (გეგმა 1 ათასი ლარი, შესრულება 1 ათასი ლარი); ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 21%–ით (გეგმა 55ათასი ლარი, შესრულება 11,7 ათასი ლარი); შემოსავალი მომსახურეობის გაწევიდან შესრულებულია 1,1 ათასი ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავები –23 %–ით (გეგმა 350 ათასი ლარი, შესრულება 79 ათასი ლარი); ძირითადი აქტივების გაყიდვიდან –20 %–ით (გეგმა 100 ათასი ლარი,შესრულება 20,5ათასი ლარი); მიწის გაყიდვიდან –100 %–ით (გეგმა 3345,8 ათასი ლარი, შესრულება 3349 ათასი ლარი). გადასახდელების კუთხით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტი შესრულდა 14 %–ით (გეგმიური 11989,1 ათასი ლარის ნაცვლად გადასახდელებმა შეადგინა 1632,4 ათასი ლარი). მათ შორის: საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურეობის ხარჯმა შეადგინა 756,6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 2384,1 ათასი ლარის 32%; თავდაცვის ღონისძიებებზე გახარჯულია 25,7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 98 ათასი ლარის 26 %; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოების ხარჯმა შეადგინა 89,5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური 291,3 ათასი ლარის 31 %; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯმა შეადგინა 248 ათასი ლარი ანუ გეგმიური 5900,1 ათასი ლარის 4 %; მათ შორის ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯმა შეადგინა 31,9 ათასი ლარი, გრძელდება სამუშაოები 2011 წელს დაწყებული მანავის და ხაშმის სანიაღვრე არხების მოწყობისა; დასუფთავების ღონისძიებებმა –40,1 ათასი ლარი, წყალმომარაგების ხარჯი – 62,1 ათასი ლარი (გრძელდება სამუშაოები 2011 წელს დაწყებული პატარძეულის, ბოგდანოვკის, წყაროსთავის წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად); გარე განათების მომსახურება და ექსპლოატაცია –57 ათასი ლარი; კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები –36,6 ათასი ლარი; სოფლის მეურნეობის სხვა ხარჯი – 0,8 ათასი ლარი; განათლების ღონისძიებებზე გაიხარჯა 166,8 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური თანხის 1410,6 ათასი ლარის 12%; დასვენება, კულტურა და რელიგიის კუთხით ხარჯმა შეადგინა 173,3 ათასი ლარი, ანუ წლიური გეგმიური 1254,4 ათასი ლარის 14 %; სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებზე გაიხარჯა 172,5 ათასი ლარი ანუ წლიური გეგმიური თანხის 650,6 ათასი ლარის 27%.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით ასეთია:

შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 284,2 ათასი ლარი, ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის1180,4 ათასი ლარისა;

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 31,8 ათასი ლარი ,ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის 121,3 ათასი ლარისა;

მივლინებაზე მიმართულია – 3,8 ათასი ლარი ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის 14 ათასი ლარისა;

ოფისის ხარჯებზე მიმართულია 127 ათასი ლარი, ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის 477,3 ათასი ლარისა

წარმომადგენლობითმა ხარჯებმა შეადგინა 8,3 ათასი ლარი, ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის46 ათასი ლარის;

კვების ხარჯმა შეადგინა 1,7 ათასი ლარი, ნაცვლადწლიური გეგმიური თანხის 10 ათასი ლარის;

ტრანსპორტის და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ხარჯებმა შეადგინა 83,4 ათასი ლარი, წლიური გეგმიური თანხისგეგმიური 297,5 ათასი ლარის ნაცვლად;

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 80,6 ათასი ლარი, წლიური გეგმიური თანხის 730,9 ათასი ლარის ნაცვლად,

პროცენტებზე მიმართულია 2,1 ათასი ლარი, ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის 7,9 ათასი ლარისა;

სუბსიდიებზე მიმართულია 338,3 ათასი ლარი, ნაცვლად წლიური გეგმიური თანხის1675,3 ათასი ლარისა;

გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულისათვის მიმართულია 330 ათასი ლარი;

სოციალური უზრუნველყოფაზე მიმართულია 158,2 ათასი ლარი, წლიური გეგმიური თანხის 604,5 ათასი ლარის ნაცვლად;

არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართულია 180,5 ათასი ლარი, წლიური გეგმიური თანხის 6468,9 ათასი ლარის ნაცვლად;

სხვა არამატერიალურ აქტივებზე მიმართულია 2 ათასი ლარი;

ვალდებულებების კლებაზე – 2 ათასი ლარი

აღნიშნული საკითხის ირგვლივ მოსაზრებები გამოთქვეს დეპუტატებმა და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის მონაწილეებმა საკრებულოს სხდომაზე მოისმინეს და შესაბამისი გადაწყვეტილება გამოიტანეს საკითხის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

სხდომაზე განიხილეს საკითხი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 30 მარტის №22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომამ ცვლილება შეიტანა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ დაფუძნებისა და მისი წესდების 1 მუხლის მე-5 პუნქტში. კერძოდ, ეს პუნქტი ასე ჩამოყალიბდა“: „5. გაერთიანების იურიდიული მისამართია: საგარეჯო, დავით აღმაშენებლის ქ. №15.“

საკრებულოს სხდომაზე იმსჯელეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. კერძოდ, მეორე პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„შპს „აღმაშენებლის“ ლიკვიდაციის პროცესის წარმოება დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარეს ივანე გძელაშვილს (პირადი № 36001008160)“

განკარგულებას დაემატა შემდეგი შინაარსის 4[1] პუნქტი:

4[1] ელექტრონული ფოსტის მისამართი – sagarejo-sakrebulo.hotmail.com.

სხდომაზე განხილულ საკითხზე შპს „აღმაშენებელი“-ს ლიკვიდაციის შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 თებერვლის №17 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს სხდომაზე განიხილეს სხვადასხვა საკითხები და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ, ᲐᲬᲐᲣᲚ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ ᲧᲐᲜᲓᲐᲣᲠᲐ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი



ყანდაურა საგარეჯოს რაიონის უკიდურეს განაპირას მდებარეობს, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება კაკაბეთი და ვერხვიანი, აღმოსავლეთიდან შიბლიანი, სამხრეთიდან ბოგდანოვკა და ბადიაური, ჩრდილოეთიდან ტყით შემოსილი ცივ-გომბორის მთაგრეხილი.

არქეოლოგიური მონაცემებით აქ ადამიანებს უხსოვარი დროიდან უცხოვრიათ. შესანიშნავი კლიმატი, ტყით შემოსილი ცივ-გომბორის მთისწინეთი, სასმელი წყაროების სიუხვე, სახნავ-სათესი მინდვრების სიახლოვე ადამიანს ყველა საარსებო პირობას უქმნიდა ეცხოვრა ბედნიერად. ამ სოფლის ეკონომიური დაწინაურების კეთილდღეობის წყაროს წარმოადგენდა აგრეთვე ანტიკური და ფეოდალური ეპოქის უდიდესი ქალაქის ჭერემის სიახლოვე და ის სტრატეგიული გზა, რომელიც ჭერემსა და ყანდაურას აკავშირებდა საქართველოს დედაქალაქთან და კახეთის ცენტრებთან.

ადრინდელი ყანდაურა უფრო ჩრდილოეთით უნდა არსებულიყო, რასაც ადასტურებს არქეოლოგიური მონაცემები. ჭერემში მიმავალი ცენტრალური გზა სწორედ ყანდაურაზე გადიოდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ყანდაურის ბუნებრივ-კლიმატური პირობები იმის ფაქტორს ქმნიდა, რათა აქ ინტენსიურად განვითარებულიყო მესაქონლეობა, მევენახეობა, მემინდვრეობა. ყანდაურის ეკონომიკაში დიდი ადგილი ეკავა, აგრეთვე, მეაბრეშუმეობასა და შინამრეწველობას.

ყანდაურამ თავისი არსებობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მრავალი რბევა-აწიოკება განიცადა. ჩვენი გაანგარიშებით, ყანდაურამ 16-ჯერ განიცადა მოსპობა-გადაშენება, მაგრამ არ გამქრალა ისტორიის არენიდან. ცნობილი ისტორიული წყაროებით ამ სოფლისათვის ყველაზე გამანადგურებელი იყო 502 წელი, როდესაც სპარსეთის ურიცხვმა ჯარმა დაანგრია და მიწასთან გაასწორა ქალაქი ჭერემი, შემდეგ იყვნენ არაბები, თურქსელჩუკები, მონღოლები, თემურ-ლენგები, შაჰ-აბასები და ბოლოს დაღესტნელი აბრაგები, რომელთაც გამოუცხადებელი ომით – „ლეკიანობით“ მოსპეს და მიწასთან გაასწორეს ქართული სოფლები.

ჩვენი ქვეყნის გამანადგურებელი ომებიდან ყველაზე მრისხანე იყო ირანის სისხლისმსმელი მბრძანებლის შაჰ-აბას პირველის ლაშქრობები საქართველოში XVII საუკუნის I ნახევარში, როდესაც შაჰ-აბასმა მიზნად დაისახა მთელი კახეთის ქართული მოსახლეობის მოსპობა და მათ ადგილზე თათრული ტომების ჩამოსახლება. სწორედ მაშინ განიცადა ყანდაურამ დანარჩენ კახეთთან ერთად აყრა-გაპარტახება. იმ 150 ათას აყრილ კახელებთან და ირანში გადასახლებულთაგან ცოცხლად ტყვედჩაგდებული ყანდაურელებიც იყვნენ.

სოფელი ყანდაურა ნასოფლარად იქცა და იქ დროთა განმავლობაში ტყე გაიზარდა. გარე კახეთის ნასოფლარებიდან ყანდაურა თითქმის XVIII საუკუნის შუა წლებამდე დაუსახლებელი იყო, მხოლოდ მისი სასაფლაოთი და ქვითკირის ნაგებობების ხავსმოკიდებული ნანგრევებიღა იუწყებოდნენ აქ ოდესღაც მოსახლეობის არსებობას. ცოცხლადგადარჩენილი ყანდაურელები გაფანტეს და ისე დაასახლეს ირანის შიდა პროვინციებში, ხოლო სასწაულით ტყეებსა და მთებში თავშეფარებული ყანდაურელები ვეღარ ბედავდნენ ყანდაურაში ჩამოსახლებას და გაციებული კერების აღორძინებას, სხვაგან ეძებდნენ თავშესაფარს.

XVIII საუკუნის მიწურულამდე ყანდაურა კვლავ ნასოფლარად რჩებოდა ჭერემთან ერთად. არც 1757 წლის დოკუმენტებში – თეიმურაზ II-ის მიერ საჭერემლოს საეპისკოპოსო სამწყსოს გაუქმების დოკუმენტში, არც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გიულდენშტედტის დღიურებში და არც ვახუშტი ბაგრატიონის ნაწარმოებებში არ დაფიქსირებულა ყანდაურის არსებობა.

მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის 1797 წლის 25 თებერვლის განჩინებაშია მოხსენიებული ყანდაურა, როგორც ახლადაღდგენილი სოფელი.

აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ქ. ყანდაური სოფელი ძველითგანვე ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიის შეწირული არის და შაჰ აბაზ ყაენმა მოაოხრა, მასუკან ხარაბათ (ე.ი. უკაცრიელი) იყო, რომ ყანდაურის სოფელში შენობა აღარ ყოფილა, ახლა მისმა უმაღლესობამ მეფემან ქართლისამან და მეფემან კახთამან და სხვათა, ირაკლი მეფემან იგულა და იგულისმოდგინა ამ ყანდაურის სოფლის გაკეთება, მოიყვანა და თავისი სახასო კაცნი დაასახლა და სხვაც მრავალი ხარჯი ქმნა“.

როდესაც ჭერემის საეპისკოპოსო კათედრალი გაუქმდა, ე.ი. 1757 წელს საჭერემლო მამულები მიებარა ნინოწმინდელს, ალავერდისა და ბოდბის საეპისკოპოსო კათედრალებს. ყანდაურისა და ალაკნის ნასოფლარები თავისი მამულებით ერგო ალავერდელ ეპისკოპოსს, ამიტომ ზემოაღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„რადგანაც კაცნი მისის უმაღლესობის მეფის ირაკლის სახასონი არიან და მამული ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიისა არის, რაც ამ სოფლის გამოსავალი იქნებოდეს, ნახევარი სამეფოდ მიერთმეოდეს და ნახევარი ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიას მიერთმეოდეს, როგორც წინასაგარეჯო და უკანასაგარეჯო სამეფოა და სვეტიცხოვლისათვის სანახევროდ ძევს, ესეც იმ განწესებით უნდა იყოს, სადაც რომ დღეს ყანდაური სოფელი სახლობს, იმის ჩამოსწვრივ ალაკნითვე თავის გასადევრით ყანდაურის სოფლისათვის დაგვიდვია სამკვიდროდ და საბოლოოდ“.

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროს ალაკანიც ისე ყოფილა გაპარტახებული და მოსახლეობისგან დაცლილი, რომ ცალკე სოფლად აღარ ჩაითვლებოდა.

ამ დოკუმენტის ავტორი შემდეგ განაგრძობდა: „... და თუ სადმე ალაკნელი მემკვიდრე კაცი არის, მოვა და თავის მამულს ხელს მოჰკიდებს, იმას თავის მამულს ვერავინ შეეცილება და მისი გამოსავალი საკუთრივ ალავერდის ეკლესიისა იქნება (ქართული სამართლის ძეგლები. VI ტ. გვ. 13-14).

ამავე დოკუმენტიდან ჩანს, რომ ყანდაურა ამ დროს იოსებ ჯანდიერაშვილს ჰქონია მიბარებული სამოურაოდ.

რაც შეეხება ნასოფლარ ალაკანს, ის ერეკლე II დაუსახლებია, მაგრამ ყანდაურელებისათვის მიუცია. ამიტომ ალაკანი უკვე XVIII საუკუნის დასასრულისათვის კვლავ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მეზობელი ქვეყნებიდან (ყარაბაღიდან) ჩამოსახლებულ მოსახლეობას შეუვსია.

მდიდარი ბუნება და ნაყოფიერი მიწები ანდამატივით იზიდავდა სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებულ მოსახლეობას. ამას ზედ ერთვოდა მეფის ხელისუფლების მხრივ ხელშეწყობაც. ისე, როგორც ჭერემქალაქში, ყანდაურასა და ალაკანშიც ჩამოსახლდნენ იმერეთის მთიანი სოფლებიდან, კერძოდ ჭიათურიდან და ხარაგოულიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, ქართლიდან, ერწო-თიანეთიდან, ქიზიყიდან და მეზობელი ყარაბახიდან.

როცა ერეკლე II ყარაბაღიდან (ძველი სივნიეთიდან) ასახლებდა თურქ-ოსმალო დამპყრობთა უღელქვეშ მგმინავ გასომხებულ ალბანელებს, მან კარგად იცოდა, რომ ძველი სივნიელები ქართველების მონათესავე ალბანელები იყვნენ, მაგრამ აღმსარებლობით გრეგორიანელი ქრისტიანები იყვნენ და სომხებად იმიტომ იწოდებოდნენ. მეფე იმასაც ითვალისწინებდა, რომ ქართველებთან ერთად თანაცხოვრებით ისინი ძალიან მალე გაქართველდებოდნენ, რაც მალე აღსრულდა კიდეც.

დღეს ყანდაურაში გავრცელებული გვარებიდან აღსანიშნავია – ჯავახიშვილები, ტაველიშვილები, დოდაშვილები, ჩალათაშვილები, აბესაძეები, როსტომაშვილები, ფხალაძეები, სიდამონიძეები, ბაჩოშვილები, სამბელაშვილები, გაიმარჯვაშვილები, აბრამიძეები, გურგენიშვილები, ჩოკოშვილები, ხარებაშვილები, ათაბეგაშვილები, გოცირიძეები, კიკნაძეები, ჯაჭვაძეები, ცანკაშვილები, ხარებაშვილები, ოზგელდაშვილები, გიგოშვილები, აგულაშვილები, ჭამიაშვილები, ბაღდასაროვები, მთავრიშვილები, ადუაშვილები, ბაღაშვილები და სხვები.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე ყანდაურა გვევლინება, როგორც ეკონომიურად მომძლავრებული და რიცხვმრავალი სოფელი, სადაც მიწა ეკლესიას ეკუთვნოდა, ხოლო ამ მიწებზე დასახლებული მოსახლეობა მეფეს (შემდგომში სახელმწიფოს).

ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II და მისი შვილის გიორგი XII მეფობის დროს ყანდაურა წარმოადგენდა ბატონიშვილ მირიანის წილხვედრ სოფელს. ხოლო 1801 წელს ყანდაურა სამმართველოდ გადაეცა მოურავ ზაქარია ანდრონიკაშვილს.

როგორც ვთქვით, ყანდაურა დღითიდღე იზრდებოდა და ძლიერდებოდა. XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდაურიდან ალაკანში და „ტურის უბანში“ ჩამოსახლება იწყეს მოსახლეობამ და ისე შეივსო მოსახლეობით ალაკანი, რომ „გადასახედსაც“ კი ჩასცდა მოსახლეობა. ალაკანი თანდათან გაქრა ხალხის ხსოვნაში და ერთი ყანდაურის ნაცვლად მივიღეთ ორი ყანდაურა – ზემო და ქვემო ყანდაურა. ყანდაურაში შინამრეწველობაც განვითარდა, აგულაშვილები და ჩალათაშვილები უშვებდნენ საუკეთესო ხარისხის აგურსა და კრამიტს, საყოფაცხოვრებო ჭურჭელს, ხოლო ქვემო ყანდაურაში (ალაკანში) არსებული დიდი ბაზრობა-იარმარკა მთელს კახეთში იყო ცნობილი საკვირაო ბაზრობით, სადაც ყანდაურელები და მეზობელი სოფლები რეალიზაციას უკეთებდნენ თავიანთ ჭარბ პროდუქტებს და ხელოსნურ ნაწარმს.

მართალია ყანდაურა გვიან გამოვიდა სამეურნეო-კულტურულ და საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ ამ სოფელმა თავისი კვალი დაამჩნია კახეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, XIX საუკუნის დასაწყისიდან ყანდაურა ჯერ თელავის მაზრის, ხოლო XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან სიღნაღის მაზრაში წარმოადგენდა ერთ-ერთ დაწინაურებულ სოფელს.

ყანდაურელმა ვაჟკაცებმა თავი გამოიჩინეს ჯერ 1800 წლის 7 ნოემბერს ავარიის მმართველ ომარ ხანის 20 ათასიანი ლაშქრის წინააღმდეგ, ყანდაურის მახლობლად, „ნიახურა სოფლის“ ტერიტორიაზე გამართულ გენერალურ ბრძოლაში, სადაც პირველად საქართველოს ისტორიაში ქართველ ლაშქართან ერთად ორმა რუსულმა ბატალიონმა გენერლების გულიაკოვისა და ლაზარევის სარდლობით, ქართველი ბატონიშვილების იულონისა და ბაგრატის ხელმძღვანელობით გამანადგურებელი მარცხი აგემეს მტერს. ხალხურმა ლექსმა დააფიქსირა ყანდაურელი ვაჟკაცების მალხაზ გიგოშვილის, იოსებ მთავრიშვილის, ჯახანა ჯავახიშვილის, ივანე გაიმარჯვაშვილის, გია ადუაშვილის, პაატა ბაღაშვილის და სხვათა სახელები, რომელთაც დირსეულად მოიხადეს სამშობლოს დამცველი მებრძოლის ვალი.

რუსეთ-ირანის 1826-28 წლების ომში 1826 წლის 13 სექტემბერს განჯასთან გამართულ ბრძოლაში სხვა ქართველ მეომრებთან ერთად გმირობა გამოუჩენია ყანდაურელ მეომარს დათია სამბელაშვილს, რისთვისაც იგი წმინდა ანდრია პირველწოდებულის III ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ (თსუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები ტ. 77, გვერდი 155).

1912-1915 წლებში ყანდაურის სამხრეთით მინდორ ბადიაურზე გამოიარა კახეთის რკინიგზამ, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ყანდაურელთა სოციალურ-საზოგადოებრივი და პატრიარქალური ცხოვრების რიტმის დარღვევაში. არაერთი ყანდაურელი მშრომელი აქტიურად ჩაება ამ რკინიგზის მშენებლობაში, ხოლო როცა მინდორ ბადიაურზე აშენდა რკინიგზის სადგური და შეიქმნა ამ რკინიგზაზე მომუშავე მუშა-მოსამსახურეებისათვის ინფრასტრუქტურა, ბევრი ყანდაურელი გლეხი ჩამოსახლდა რკინიგზის სადგურის მახლობლად და კახეთში მიმავალი გზის მიმდებარე ტერიტორიაზე. მართალია ყანდაურელებთან ერთად აქ სახლდებოდნენ შიბლიანელი, კაკაბელი, ჯიმითელი გლეხებიც, მაგრამ ბადიაურის მოსახლეობის ძირითად ნაწილს ყანდაურელები წარმოადგენდნენ და რაც დრო გადიოდა, თითქმის დაიცალა ზემო ყანდაურა და ბინა დაიდო ბადიაურში.

ყანდაურის კულტურულ ცხოვრებაში დიდი ძვრები მოხდა XIX საუკუნის 80-იან წლებში. 1880 წელს ზემო და ქვემო ყანდაურაში შეიქმნა დაწყებითი სკოლები. ბევრი ყანდაურელი ეზიარა სახალხო განათლების დიდებულ მიღწევებს და ამ სოფელმა სამშობლოს მისცა ბევრი ღირსეული მოღვაწე. ასეთთა რიგებს მიეკუთვნებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ III, რომელმაც თავისი აღსაყდრება 1952 წელს დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქ კალისტრატეს შემდეგ და 8 წელი – 1960 წლამდე განაგებდა საქართველოს ავტოკეფალიას. იგი გვარად ფხალაძე იყო.

ყანდაურელი გლეხის შვილი იყო გამოჩენილი ქართველი არქიტექტორი, საბჭოთა კავშირის გმირი გიორგი გოცირიძე, რომელიც წლების განმავლობაში იყო მოსკოვის მთავარი არქიტექტორი.

ყანდაურაში დაიბადა და გაიზარდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი გიორგი ჯავახიშვილი, ცნობილი მოჭიდავე, სპორტის ოსტატი ანზორ კიკნაძე და მრავალი სხვა ღირსეული ქართველი.

ბოლოს ორიოდ სიტყვა თვით სოფლის სახელწოდების განმარტებაზე. ტოპონიმი ყანდაურა წარმოსდგება სიტყვის ფუძე ყანდისგან. „ყანდი“ კი დამპალ ფუღურო ხეს ნიშნავს, მეორე განმარტებით კი ტკბილს, შაქარს.

აქვე გვინდა მოვიყვანოთ გიორგი ჯავახიშვილის განმარტებაც.

როდესაც მალარიის დაავადებით

გაგრძელება მე-4 გვ

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული

ყანდაურა



რწმუნებული
ავთანდილ გოგიაშვილი

Ყანდაურის თემის რწმუნებულია ავთანდილ გოგიაშვილი. *დაიბადა 1953 წელს, ყანდაურაში. 1970 წელს დაამთავრა ყანდაურის საშუალო სკოლა, ხოლო 1975 წელს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სატრანსპორტო ფაკულტეტი ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით.*

შრომითი საქმიანობა თბილისის მშენებლობის სამინისტროს №1 ავტობაზაში ინჟინერ-ტექნოლოგად, შემდეგ კი ტრესტ „მშენტრანსის“ სადისპეტჩერო სამსახურის უფროსია. 1979 წლიდან კი საგარეჯოს რაიონში, „სოფლტექნიკის“ ბადიაურის საწარმოშია (ე.წ. „ემტეეს“), სადაც გაიარა ყველა საფეხური რიგითი ინჟინრიდან საწარმოს დირექტორობამდე – „სოფლტექნიკის“ ბადიაურის საწარმოს დირექტორად იმუშავა 1984-1992 წლებში.

1992-1994 წლებში „სოფლტექნიკის“ ბადიაურის ნავთობბაზის დირექტორია. 1995 წლიდან საგარეჯოს რაიონის გამგეობის სახაზინო საწარმო „აღმოსავლური ბაზრის“ (იორმუღანლოს ბაზრობა) დირექტორია. ამავე წელს გადაყვანილ იქნა სოფელ ყანდაურის გამგებლად. იმ პერიოდისათვის ყანდაურის საკრებულოს შემადგენლობაში შედიოდა 4 სოფელი: ყანდაურა, ბადიაური, შიბლიანი, ბოგდანოვკა.

1995 წლიდან სამუშაოდ გადავიდა კაჭრეთის წისქვილკომბინატში მარკეტინგის სამსახურის უფროსად – დირექტორის მოადგილედ, სადაც იმუშავა 2006 წლამდე, შემდეგ კი მუშაობდა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედოში“ სოფლის კონსულად.

2010 წლიდან ავთანდილ გოგიაშვილი სოფელ ყანდაურის რწმუნებულია. ჰყავს მეუღლე – ეთერ სადუნაშვილი – ყანდაურის საჯარო სკოლის პედაგოგი, ორი ვაჟიშვილი და ერთი შვილიშვილი.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი ყანდაურის თემიდან არის დავით როსტომაშვილი. დაიბადა 1969 წელს, ბადიაურში. 1993 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი მეტალურგის სპეციალობით. 1994-1997 წლებში მუშაობდა საგარეჯოს შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში უბნის ინსპექტორად. 1997-2009 წლებში საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურის საშუალო სკოლის სამხედრო მომზადების პედაგოგია, 2010 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია. 2012 წლიდან ლამბალოს საჯარო სკოლის დირექტორი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სოფლის დღევანდელ ცხოვრებაზე, მის ხვალინდელ დღეზე, სამომავლო გეგმებზე ინტერვიუ სოფლის რწნებულთან ავთანდილ გოგიაშვილთან შედგა.

– ბ-ნო ავთანდილ, ყანდაურა საკმაოდ დიდი სოფელია, რომელშიც სხვადასხვა გვარის ადამიანები ცხოვრობენ. ძირითადად რა გვარებია აქ გავრცელებული?

– ყველაზე დიდი გვარებია აბესაძე, ადუაშვილი, გამყრელიძე, სახიაშვილი, შენგელიძე, ჩოკოშვილი, ჯავახიშვილი.

– როცა სოფელი მრავალრიცხოვანია, იქ შესაბამისი ინფრასტრუქტურაც უნდა იყოს... საბავშვო ბაღი, საექიმო ამბულატორია, გზა, ელექტრომომარაგება, გაზმომარაგება, სასმელი წყლით მომარაგება.

– რა თქმა უნდა. სოფელში 450 კომლია, მოსახლეობა 1250 კაცი. დავიწყოთ საბავშვო ბაღით. საბავშვო ბაღის მენეჯერის მოვალეობის შემსრულებელია რუსუდან მაზანაშვილი. ბაღის 30 აღსაზრდელს 8 ადამიანი ემსახურება.

ყანდაურის საჯარო სკოლის დირექტორია ნატალია სამბელაშვილი, 188 მოსწავლეს სკოლის 34 პედაგოგი ემსახურება.

ყანდაურაში გვაქვს სოფლის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა, რომელიც ახალი შეძენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოყოფილი თანხებით.

2010-2011 წლებში სოფელში პროგრამა „სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროექტით მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა, რამაც სოფელს კეთილმოწყობილი მინისტადიონი, დასასვენებელი პარკი, გარეგანათება შემატა. ამასთან, შემოიღობა სოფლის სასაფლაო. „რეგიონალური განვითარების პროგრამით“ აქ დაიგო ასფალტი ყანდაურა-ბადიაურის დამაკავშირებელ სასოფლო გზაზე. გაკეთდა ე.წ.

ექიმი მაია ჯიმშელაძე

„გადასახედის“ უბნის სასმელი წყლის მილგაყვანილობა, წყლის სათავე, შეიცვალა სასმელი წყლის მილები ე.წ. „ტურის“ და „დოდაანთ“ უბნებში. აღდგა სტიქიით დაზიანებული ხევი, გაკეთდა ხიდი. ზემო ყანდაურაში გაკეთდა სასმელი წყლის სათავე, მოიხრეშა სოფლის საუბნო გზები. გასულ, 2011 წელს მნიშვნელოვანი საქმე გაკეთდა – მოიხრეშა და სანიაღვრეები გაკეთდა ზემო ყანდაურის დამაკავშირებელ გზაზე. სოფელში მოგვარდა სასმელი წყლის პრობლემა. ძირითადად სოფელი სასმელ წყალს 7 სათავე ნაგებობიდან იღებს. ამათგან 3 ძირითადი სათავე-ნაგებობა და მილგაყვანილობა ბოლო სამი წლის განმავლობაში გაკეთდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის ცენტრში ე.წ. ალაკანში არის საკმაო რაოდენობით წყაროს წყლები. რაც შეეხება ბუნებრივ აირს, სოფელში ჯერ-ჯერობით არ არის შემოყვანილი. პერსპექტივაში კი გათვალისწინებულია ბუნებრივი აირის სოფელში შემოყვანა.

რაც შეეხება საექიმო ამბულატორიას,

დეპუტატი
დათო როსტომაშვილი

აქ ექვსი თანამშრომელია. სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობას ექიმები დიანა პავლიაშვილი და მაია ჯიმშელაძე ემსახურებიან. ამბულატორია ძნელად მისასვლელიცაა, იგულისხმება ის, რომ იგი სოფლის ცენტრიდან მოშორებითაა, ამასთან შენობა ავარიულია, ამიტომ „სოფლის განვითარების მხარდაჭერის“ პროგრამით საექიმო ამბულატორია ორიოდე თვეში გადმოტანილი იქნება სოფლის საკრებულოს შენობაში – კეთილმოწყობილ ოთახებში.

– თებერვალ-მარტის თვეებში ჩვენი მუნიციპალიტეტის მთელ რიგ სოფლებში ჩატარდა სოფლის კრებები, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები შეხვდნენ სოფლის მოსახლეობას. ეს შეხვედრა ყანდაურაშიც ჩატარდა, ვინ ესწრებოდა ამ კრებას, რა საკითხები გამოიკვეთა პრიორიტეტულად სოფლის მოსახლეობიდან და თუ იყო აქტიურობა ამ საკითხის დაყენებისას?

– სოფლის კრებაზე ყანდაურელებთან პრეზიდენტის რწმუნებული კახეთის მხარეში გიორგი ღვინიაშვილი, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ილია ჭიაურელი, პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს რაიონიდან ზაზა გულიკაშვილი მობრძანდნენ. მოსახლეობის მხრიდან საკითხების დაყენებისას იყო აქტიურობა, გულახდილი საუბარი და იმ პრიორიტეტული საკითხების გონივრულად, წინა პლანზე წამოწევა და გამოყოფა, რომლებიც მიმდინარე წელს სხვადასხვა პროგრამებით უნდა განხორციელდეს.

შეხვედრაზე მოსახლეობის წარმომადგენლებმა სოფლისათვის ყველაზე მტკივნეული საკითხი დააყენეს – სარწყავი წყალი. მოგეხსენებათ, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ბაღ-ვენახები არ ირწყვება სარწყავი სისტემის უქონლობის გამო, არ ირწყვება ყანდაურის კუთვნილი მიწები, რომლებიც მდებარეობს ივრის ზემოთ ე.წ. „ნაქერალების“ და „ნათულარის“ მინდვრების ტერიტორიაზე. საერთო ფართობი სოფლისა არის 2400 ჰა, აქედან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა 2100 ჰა, სახნავს 910 ჰა უკავია, მრავალწლიან ნარგავებს – 255, სათიბს 1000, საძოვარს 1100 ჰა, საკარმიდამო მიწებს – 205 ჰა.

პარლამენტისა და მთავრობის, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები შეგვპირდნენ ე.წ. „ბებერი არხის“ აღდგენას, რაც მთლიანად მოხსნის ყანდაურელთა მიწების გასარწყავების პრობლემას.

ასევე აუცილებელია იმ გზის მოასფალტება, რომელიც 2011 წელს მოიხრეშა და სანიაღვრეები გაუკეთდა. საუბარი მაქვს ყანდაურისა და ზემო ყანდაურის დამაკავშირებელ გზაზე. მოსახრეშია,

დასასრული მე-5 გვ

გაგრძელება

შეწუხებულ ნიახურას სოფლის მცხოვრებლებს მიუმართავთ ერეკლე II-სთვის დახმარებისათვის, ერეკლე მეფეს ასეთი პასუხი გაუცია: სადუხამდე ჯიმითს მივეცი, ზეიანი კაკაბეთს, აი, იმ ტყეში ჭერემის დასწვრივ ყანდაი მუხა რომ დგას თქვენთვის საცხოვრებლად მომიცია, წადით და იქ დასახლდითო, თანაც უთქვამს: იმ სოფელს ყანდაურიანი უწოდეთო. თქმულება სინამდვილესთან ახლოს დგას და მცდარია ზოგიერთის მოსაზრება, თითქოს ყანდაურას სახელწოდება ავდანეთის ქალაქ ყანდაგარის წაბაძვით ეწოდება. „ყანდი“ ფუტურო ხეს ნიშნავს და რამდენადაც ყანდაურა ირგვლივ ფოთლოვანი ტყით არის შემოსაზღვრული, მართლაც დაფუტურებული ხის ანალოგიიდან უნდა იყოს ტოპონიმი წარმომდგარი. ასეა თუ ისე, დღეს ყანდაურის პირვანდელ სამოსახლოზე მხოლოდ რამდენიმე სახლი დგას. ადამიანებმაც თანდათან მიატოვეს მამაპაპეული ნაფუძარი და ჩამოსახლდნენ უფრო ქვემოთ, ძველი ყანდაურა კი თავისი სასაფლაოთი და სალოცავებით – გორიჯვრით დარჩა, როგორც ნაშთი „ძველი დიდებისა“.

1972 წლის გაზაფხულზე, როცა მე საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილების გამგედ ვმუშაობდი „გორიჯვრობას“ ვეწვიე ჩემი თანამშრომლებით. გორიჯვრის ეკლესია ქართლიდან, გორის რაიონიდან, დიდი გორიჯვრიდან ყანდაურაში გადმოსახლებულ მოახალშენეებს აუშენებიათ XVIII საუკუნის დასასრულს, რათა მათი ხსოვნიდან არ წაშლილიყო ხსოვნა თავიანთი მამაპაპეული სალოცავისა.

როგორც სიძველეთა მოყვარულმა მაშინათვე სასაფლაოს მივაშურე, რათა დამედგინა სოფლის ხელმეორედ აშენებისა და ახალმოშენეთა ძველი თაობის გარდაცვალებულთა თარიღები. საფლავების ეპიტაფიების მიხედვით ყველაზე ძველი გარდაცვლილი აღმოჩნდა მიცვალებული სამხაძე სიმოვნა, რომელიც გარდაცვლილა ძველი ქორონიკონით უჟვ წელს, ხოლო მისი მეუღლე ხორეშანი დჟვ წელს. აბრამ გაიმარჯვაშვილი მე-14 მოქცევის ქორონიკონით ჩყმ წელს. ჩემი გაშიფრვით სიმოვნა სამხაძე გარდაცვლილა ჩვენი წელთაღრიცხვით 1779 წელს, მისი მეუღლე ხორეშანი 1803 წელს, ხოლო აბრამ გაიმარჯვაშვილი 1803 წელს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყანდაურა უკვე XIX საუკუნის დასაწყისში დიდი სოფელი იყო.

დღეს გარეკახეთში აღარ არსებობს ძველი ყანდაურა. მისი მცხოვრებლების ჩამოსახლებით ბადიაურში XX საუკუნის 50-იანი წლებიდან აშენდა ახალი სოფელი, სადაც მოსახლეობის 80%-ზე მეტი ძველი ყანდაურელები არიან, თუმცა არც ყანდაურა გამქრალა უკვალოდ. ყანდაურა, როგორც კახეთის ერთ-ერთი უდიდესი სოფელი კვლავ არსებობს უფრო ქვემოთ ნასოფლარ ალაკნის ტერიტორიაზე.

ყანდაურა ამჟამად საგარეჯოს რაიონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ხალხმრავალი და ეკონომიურად ძლიერი სასოფლო თემია, რომელიც თავის სიტყვას ამბობს, ახალი დამოუკიდებელი და დიდი მომავლის მქონე საქართველოში. ყანდაურელებს საამაყოდ აქვთ ისიც, რომ დღეს საგარეჯოს რაიონის თავკაცი და გამგებელი გია ჩალათაშვილი წარმოშობით ყანდაურიდანაა.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეული ყანდაურა

<u>დასასრული</u>

ასევე, სოფლის რამდენიმე გზა.

რაც შეეხება სხვა საკითხებს, სკოლის შენობა არ არის ჯერ-ჯერობით სარემონტო. ამ შემთხვევაში სარემონტოა სპორტდარბაზი. ამასთან, სკოლას არა აქვს სააქტო დარბაზი. სახურავია შესაცვლელი საბავშვო ბაღის შენობისათვის. როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა გვპირდება, მიმდინარე წლის ბოლოსათვის მთელი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უმნიშვნელოვანესი სამუშაოები უნდა ჩატარდეს თითოეული სოფლის კეთილმოწყობის მიზნით. ისიც სასიხარულოა, რომ ქვეყნის მთავრობამ და ხელისუფლებამ ეს წელი კახეთის წლად გამოაცხადა, სადაც რამდენიმე მილიონიანი პროექტები უნდა განხორციელდეს. ამ კუთხით არც ჩვენი სოფელი დარჩება უყურადღებოდ.

– ბატონო ავთანდილ, თქვენი სოფლიდან საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი დათო როსტომაშვილია, რომელიც ამავე დროს არის სოფელ ბადიაურის დეპუტატიც...

– ეს ასეა. მაგრამ დათო არ არის ისეთი ახალგაზრდა, რომელიც გვერდში არ დაუდგეს სოფლის რწმუნებულს იმ საკითხის საკრებულოს წინაშე დაყენების საქმეში, რომლის გადაჭრაც დადებითად წაადგება სოფლის მოსახლეობას. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს ბადიაურს ეხება თუ ყანდაურას.

– ყანდაურაში გამრჯე, მშრომელი ადამიანები ცხოვრობენ. ამ ოცი-ოცდახუთი წლის წინაც ისინი ყველაზე შეძლებულ მოსახლეობად სახელდებოდნენ ჩვენს რაიონში, არც ახლა დალატობენ შრომით ტრადიციებს. ძირითადად რა საქმიანობას მისდევენ დღეს ისინი?

– ჩვენი სოფლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა, ისევე, როგორც ათეული წლების წინ, ახლაც მევენახეობაა, მათში გენეტიკურად არის გამჯდარი ვაზის სიყვარული და მისი უდალატობა. ბოლო დროს შესამჩნევია და სწრაფი ტემპით ვითარდება მეცხოველეობა და შესაბამისად – მემინდვრეობა, საკვები ბაზის წარმოება.

– სოფელში შეძლებულ ადამიანებთან ერთად ყოველთვის არიან გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი ადამიანებიც...

– დიახ. ამ მხრივ ჩვენთან 74 ადამიანი იღებს სოციალურ დახმარებას.

– ყანდაურელები არც ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს არიდებენო თავს...

– ასეა, ყანდაურიდან 19 ახალგაზრდაა ამ სამსახურში და არც ერთს არ შეურცხვენია თავი.

– ქართული, მართლმადიდებელი სოფელი სალოცავისა და ეკლესიის გარეშე ვის გაუგონია...

– როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა სოფლები, არც ჩვენ ვართ ეკლესიებისა და სალოცავების მფარველობის

ბაღის მენეჯრის მოვალეობის შემსრულებელი
რუსუდან მაზანაშვილი

გარეშე. სოფელში რამდენიმე სალოცავია. ყანდაურაში ამაღლების (თელეთის) ეკლესია, ყანდაურელი ქველმოქმედების მიერ აღდგენილი ყველაწმინდის ეკლესია, სადაც მალე განახლდება წირვა-ლოცვა, აგრეთვე, ზემო ყანდაურაში წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობისა და მისი გამგებლის გია ჩალათაშვილის დიდი ხელშეწყობითაა აღდგენილ-რესტავრირებული.

– ჰფარავდეს ამ სალოცავების ძალა და მადლი ყანდაურელებსაც და სრულიად საქართველოსაც.

ესაუბრა თინა ილაური

ყანდაურის საჯარო სკოლის შენობა

შეხვედრა მოსახლეობასთან

ქალბატონი – იქელი ცვალის

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ახალგაზრდული განყოფილება წინასწარ შედგენილი იმ გეგმით მუშაობს, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის იმ სამოქმედო პროექტებსა და საქმიანობაში ჩართვას, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ნიჭიერი მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმოჩენას, მათი შესაძლებლობების რეალიზებას.

განყოფილებას ხელმძღვანელობს **გიორგი სონიშვილი.**

გიორგი სონიშვილი საგარეჯოელია. დაიბადა 1989 წელს. უმაღლესი განათლებითაა, დამთავრებული აქვს საერთაშორისო ინფორმაციის, სამართლისა და კულტურული ურთიერთობების უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტი.

2011 წლის სექტემბრიდან მუშაობდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ადგილობრივი ფინანსების მართვის სამსახურში წამყვან სპეციალისტად შესყიდვების საკითხებში. 2012 წლის თებერვლიდან კი ამავე გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი საჯარო მოხელეა ახალგაზრდობის საქმეთა საკითხებში.

გიორგი დღეს ჩვენი გაზეთის მკითხველს მოუთხრობს იმ საქმიანობაზე, რაც ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილებამ მიმდინარე წელს გასწია და ასევე ისაუბრებს იმ სამომავლო გეგმებზე, რომელთა განხორციელებაც მაის-ივნისშია მათ მიერ დაგეგმილი.

– მარტის დასაწყისში ჩვენმა განყოფილებამ ჩავატარეთ ტრენინგი „ლიდერობა და პრეზენტაცია", რომელშიც ჩვენი მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან შერჩეული 30 ახალგაზრდა იღებდა მონაწილეობას. ასევე, 19 მარტს გამოვლინდა „ესეების კონკურსის" მონაწილე და დაჯილდოვდა ერთი – ჟიურის რჩეული და ერთი – „ფეისბუკის" რჩეული, რომელთაც გადაეცათ ფასიანი საჩუქრები. ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება ჰქონდა ყველა ახალგაზრდას, თემა კი თავისუფალი იყო. 20 აპრილს სიყვარულის დღისადმი მიძღვნილ კაფე-საღამოში საგარეჯოელი შემოქმედი და ხელოვანი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. ესენი იყვნენ საგარეჯოს ოთხივე, გიორგიწმინდისა და ნინოწმინდის საჯარო სკოლების მოსწავლეები. კაფე-საღამოში მონაწილეობა მიიღეს, ასევე, ცეკვისა და სიმღერის შემოქმედებითმა გუნდებმა. საჯარო სკოლებს გადაეცათ საჩუქრები.

23 აპრილს დასუფთავების დღეს მივუძღვენით თავწმინდა გიორგის ეკლესიამდე ასასვლელი გზისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება, რომელშიც მართლაც აქტიურად მიიღეს მონაწილეობა ჩვენმა ახალგაზრდობამ.

ჩვენი განყოფილების მიერ მოწყობილ ღონისძიებებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სტუდენტები ანი მოსიაშვილი და მარიამ ღვთისავრიშვილი, საგარეჯოს პირველი საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი ჯაბა ჯაბადარი, საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი ნინო მეკოკიშვილი, საგარეჯოს III საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელი ნატო კვერაშვილი.

უახლოეს ხანში, კერძოდ, მაის-ივნისში გვაქვს დაგეგმილი გავაგრძელოთ წინა წლების ტრადიცია და ახლაც ჩავატაროთ „ლიტერატურული მარათონი" ახალგაზრდებსა და პედაგოგებში. მოვაწყოთ დასუფთავების აქცია, ჩავატაროთ ტრენინგები: ფოტოგრაფიაზე, ლიდერობასა და პრეზენტაციაზე, შევხვდეთ სამამულო ომის ვეტერანებს, მოვაწყოთ სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშები, შევხვდეთ მუნიციპალიტეტის სოფლის ახალგაზრდებს, გავეცნოთ მათ პრობლემებს, ჩავრთოთ ისინი ახალგაზრდულ ღონისძიებებში, მოვაწყოთ ექსკურსიები საქართველოს სხვადასხვა კულტურული ძეგლების მოსანახულებლად, 1 ივნისს მოვაწყოთ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი აქცია.

ყოველივე ზემოთთქმული ღონისძიებების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიურად არიან ჩაბმული განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნაზი არჩუაძე და წამყვანი სპეციალისტი ირინა ბაირამაშვილი.

ლევან მაჭიაშვილი – „ილიადისის თასის“ გათამაშების გამარჯვებული

ამ მძიმე წონის ახალგაზრდა ქართველი ძიუდოისტის წარმატებების შესახებ „გარეჯის მაცნემ“ ჯერ კიდევ შარშან სექტემბრის მერვე ნომერში მოუთხრო მკითხველს. იმ პერიოდისათვის ლევან მატიაშვილი,ჩვენი ცნობილი პატარძეულელი მოჭიდავის გივი ონაშვილის შვილიშვილი და საგარეჯოელი მძლეოსნის – ამბროსი მატიაშვილის ვაჟი, ბელგიის ქალაქ ლომელში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის პირველობის ვიცე-ჩემპიონი გახდა მძიმე წონაში.

სულ ახლახანს კი ლევანმა კიდევ ერთი დიდი ჯილდო შემატა თავის ტიტულებს. აპრილში, პირველ უქმეებზე, საბერძნეთში, ქალაქ მუდანიაში ჩატარდა ევროპის თასის გათამაშება. მეორენაირად ეს არის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელიც საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ჯარჯი ზვიადაურის პატივსაცემად „ილიადისის თასად“ იწოდება. ამ თასის გათამაშებაში საქართველოდან 29 ძიუდოისტი, მათ შორის ჩვენი თანამემამულეც გავიდა მუდანიას ტატამზე, სადაც მოპოვებული 12 მედლით: 5 ოქრო, 1 ვერცხლი, 6 ბრინჯაო, საქართველოს ნაკრები მხოლოდ ერთი ბრინჯაოთი ჩამორჩა გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გასულ თურქეთის გუნდს (თურქებს ამ შეჯიბრში 35 ვაჟი და ქალი ჰყავდათ).

საქართველოს ნაკრების ამ წარმატებაში დიდი წვლილი ილია მატიაშვილმაც შეიტანა, რომლის სახელზეც აღნიშნული ხუთი ოქროდან ერთი მოდის. იგი ჩემპიონი გახდა +100 მძიმე წონაში. აღსანიშნავია, რომ ამ წონით კატეგორიაში ფინალი სულაც ქართული შედგა. ლევანმა ფინალურ ორთაბრძოლაში დაამარცხა ბარსელონას ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ დავით ხახალეიშვილის ვაჟი როსტომი. ამავე წონაში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე გიორგი ზაქარიაძე ავიდა.

ჩვენს ახალგაზრდა ძიუდოისტს ვულოცავთ ამ მორიგ წარმატებას. დაე, მომავალშიც გაეხარებინოს თავისი ახალ-ახალი წარმატებებით ლევანს ქართველი და საგარეჯოელი გულშემატკივრები.

ᲫᲘᲣᲓᲝ

მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონაჯში მონაწილეობის ლიცენზიები

ამ დღეებში ახმეტაში, ზვიად ზვიადაურის სახელობის სპორტდარბაზის ტატამზე ჩატარდა რეგიონის პირველობა ჭიდაობა ძიუდოში (დიდებში). ასპარეზობა მიზნად ისახავდა გამოევლინა მხარის ის საუკეთესო მოჭიდავეები, ვინც მონაწილეობას მიიღებენ ამ ახლო მომავალში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში. კერძოდ ეს ლიცენზიები გაიცა საპრიზო სამეულში მოხვედრილ ძიუდოისტებზე.

საგარეჯოელ ძიუდოისტთაგან ეს უფლება მოიპოვეს სოლომონ თედიაშვილმა, რომელიც ჩემპიონი გახდა 60 კგ წონით კატეგორიაში, ზაურ მამარდაშვილმა (II ადგ. 81კგ), ზაზა როსტომაშვილმა (III ადგ. 60 კგ.) და თორნიკე ანდრიაშვილმა (III ადგილი, 80კგ). მათთან ერთად ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს კიდევ ერთი საგარეჯოელი ძიუდოისტი, გასული წლის ჩემპიონი ჭიდაობა სამბოში დავით სვიმონიშვილი.

ᲡᲕᲝᲠᲪᲘ

თავისუფალი ჭიდაობა
ზურაბ ერბოწონაშვილის წარმატება ბაქოში

ამასწინათ ბაქოში „სეხრედჯის“ ოლიმპიურ კომპლექსში ჩატარდა აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდა და ჭაბუკ მოჭიდავეებს შორის.

ამ ძლიერ ტურნირში 10 წამყვან ნაკრებს შორის გამოდიოდნენ საქართველოს თავისუფალი ჭიდაობის ნაკრების შესაბამისი ასაკის მოჭიდავეები, მათ შორის, საგარეჯოელი ზურაბ ერბოწონაშვილი.

ჩვენი მოჭიდავე თავის ჩვეულ, 74 კილოგრამ წონით კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას და მესამე საპრიზო ადგილის დაკავება შეძლო. აი რას წერდა ზურას ამ წარმატებების შესახებ გაზეთი „ლელო“: „ერბოწონაშვილი სიურპრიზია, ის საქართველოს ჩემპიონატზე ვერც პრიზიორთა შორის მოხვდა და ბაქოშიც თავისი ხარჯით წავიდა. მწვრთნელები კი აქცენტს საქართველოს პირველობის ფინალისტებზე აკეთებდნენ, რომლებიც უმედლებოდ დარჩნენ“.

ჩვენს მოჭიდავეს ვულოცავთ ამ წარმატებას და ვუსურვებთ მომავალში უფრო უკეთესი შედეგებით გაეხარებინოს თავისი მწვრთნელები და საგარეჯოელი გულშემატკივრები.

ᲭᲐᲚᲘᲠᲐᲙᲘ

„ბრძენთა თამაშის“ პატარა საგარეჯოელი ოსტატების მორიგი წარმატებები

26-27 თებერვალს თელავში ჩატარდა კახეთის რეგიონალური ჩემპიონატი ჭადრაკში შვიდ წლამდე მოსწავლეთა შორის. ჩვენი მუნიციპალიტეტიდან ამ ასპარეზობაში ორი მოჭადრაკე – ლევან დალბაშვილი და თამაზ გილაშვილი (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი) იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 7 ტურად ჩატარდა, სადაც ლევან დალბაშვილმა 6,5 ქულა დააგროვა და გახდა კახეთის ჩემპიონი. ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა თამაზ გილაშვილმა. ამ შედეგებით მათ მოიპოვეს საგზურები საქართველოს 7 წლამდელ მოჭადრაკეთა პირველობაში მონაწილეობისათვის.

3-12 აპრილს კი თბილისში ჩატარდა 8 წლამდე ასაკის მოწადრაკე გოგონათა და ვაჟთა შესარჩევი ტურნირი უმაღლეს ლიგაში თამაშის საგზურების მოსაპოვებლად. საგარეჯოელთაგან ამ ტურნირში მონაწილეობდნენ: ლევან დალბაშვილი, ლუკა გურჯიძე და ეთუნა ხებრელაშვილი. მათგან ტურნირზე მესამე საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ლუკა გურჯიძე და ეთუნა ხებრელაშვილი, ხოლო ლევან დალბაშვილმა, რომელიც თავისზე ორი წლით უფროს ვაჟებთან თამაშობდა, 6,5 ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ამ შედეგით ყველა ჩვენმა პატარა მოჭადრაკემ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ

შვიდიდან ერთი ჩემპიონი

ოთარ კაციაშვილმა ქართულ ჭიდაობაში გამართულ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე შვიდი საგარეჯოელიდან ერთმა მიაღწია სასურველ შედეგს – გახდა ჩემპიონი. ეს ჩემპიონატი 20-22 აპრილს ქარელში 1996-1997 წლებში დაბადებულ ჭაბუკებში ჩატარდა, სადაც მომავალი ჩემპიონი 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა. ამ წონაში ოთარს ოთხი შეხვედრა საკმაოდ ტიტულოვან მეტოქეებთან ჰქონდა, მაგრამ შეძლო მათი დაჯაბნა და გამარჯვებულის კვარცხლბეკზე დადგომა.

მანამდე ოთარმა მონაწილეობა მიიღო ორ მარტს საგარეჯოში ჩატარებულ აღმოსავლეთ საქართველოს ზონალურ პირველობაში, სადაც ამავე წონით კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ქარელში კი, როგორც ვხედავთ, საქართველოს ჩემპიონი გახდა. ქართული ჭიდაობის გარდა, მანაველი ფალავანი ძიუდოსა და სამბოშიც ჭიდაობს. ჭიდაობის საგარეჯოელი გულშემატკივრები, საგარეჯოს 69-ე სასპორტო სკოლის მწვრთნელები და აღსაზრდელები ულოცავენ ოთარ კაციაშვილს ქართულ ჭიდაობაში მიღწეულ გამარჯვებას და უსურვებენ ახალ-ახალ გამარჯვებებს.

მოამზადა: გივი დაბახიშვილმა

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲔᲚᲔᲠᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ისტორიკოს-მემატიანე, კულტურის დამსახურებული მუშაკი

„კოკონაური“

დასასრული. დასაწყისი იხილეთ გაზეთი №8

თუ წინა საუკუნეებში მეაბრეშუმეობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ დარგს წარმოადგენდა, ახლა თითქმის მოისპო ეს შემოსავალი სოფლის მეურნეობის დარგში და მხოლოდ მოგონებად დარჩა. აგარაკმა „კოკონაურმაც“ დაკარგა თავისი ფუნქცია. იგი ახლა ქალაქ საგარეჯოს ერთ-ერთ ჩვეულებრივ უბანს წარმოადგენს.

აგარაკ „კოკონაურის“ მყუდროება მხოლოდ XIX საუკუნის 80-იან წლებში დაირღვა, როდესაც 1884 წელს თბილისიდან კახეთში მიმავალმა სამხედრო-სატრანზიტო გზამ სართიჭალიდან საგარეჯო-მანავის მხარეს გადმოინაცვლა, ხოლო 1912-1915 წლებში კახეთის რკინიგზამ „კოკონაურის“ ბოლოზე გამოიარა და აქვე, „კოკონაურის“ ფართობზე, რკინიგზის კახეთის მონაკვეთზე წარმოიშვა სადგურის დასახლება.

„კოკონაურის“ ტერიტორიაზე ბოლო წლებში ფართო სამშენებლო ინდუსტრიის დროს მიწის სამუშაოების დროს აღმოჩენილმა არქეოლოგიურმა მასალამ ახალი სიტყვა თქვა ჩვენი ქვეყნის უძველეს ისტორიაში. „კოკონაურის“ ტერიტორიაზე და საერთოდ გარე-კახეთში ჩვენს წინაპრებს უცხოვრიათ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 და მე-3 ათასწლეულებიდანვე და დიდი კულტურაც ჰქონიათ.

„კოკონაური“ წერილობითი დოკუმენტებითაც აქტიურად ყოფილა ჩართული ჩვენი ქვეყნის ახალ ისტორიაშიც. „კოკონაური“ მოხსენიებულია XVIII საუკუნის ერთ ფრიად საყურადღებო დოკუმენტშიც, რომელსაც ხელს აწერს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II.

ისტორიკოს თედო ჟორდანიას „ქრონიკების“ მე-3 ტომში აღნიშნულია, რომ მეფე ერეკლე II ღვიძლი და ელისაბედი მიუთხოვებია სამეგრელოს მთავრის კაცია დადიანისათვის და მისთვის მზითევთან ერთად გაუყოლებია სასახლის ოქრომჭედელი გიორგი ბეჟიაშვილი,მეფის ყმა, მცხოვრები სოფელ გიორგიწმინდაში.

მეფე ერეკლე II გიორგი ბეჟიაშვილს კარგი და თავდადებული სამსახურისათვის წყალობას უკეთებს და სოფელ გიორგიწმინდაში უმტკიცებს „კოკონაურის“ მამულსა და ვენახს, იმის გამო, რომ ოქრომჭედელ გიორგი ბეჟიაშვილს გამოუჩნდნენ აღნიშნული წყალობის წილში შემცილენი, ძმები და ძმისშვილები, მეფე ერეკლე II საგარეჯოს მოურავ იორამს ავალებს კარგად გაერკვეს სადაო საკითხებში და იხელმძღვანელოს მეფის გუჯარით.

საგარეჯოს მოურავმა იორამმა შეისწავლა სადავო საკითხი და ასეთი განჩინება გამოიტანა:

„ქ. ბრძანებითა მათის უმაღლესობის პატრონისა ჩვენისა ხელმწიფისა მეფისა ერეკლესითა ჩვენ საგარეჯოს მოურავმა ესე უკვე ჟამთა დასამტკიცებელი სამართალი და განაჩენი მოგეცით: შენ გიორგიწმინდელ მემკვიდრეს მეფის ერთგულს ყმასა და დიდად მსახურს ბეჟიაშვილს გიორგისა შვილთა და მომავალთა სახელისა შენისათა ასე, რომ დაგიმტკიცეთ ბატონის წყალობა სოფელ გიორგიწმინდასა ვენახი „კოკონაური“ და ქალაქსა სახლი და დუქანი.

მეფის აღნიშნულ გუჯარში ვკითხულობთ, რომ გიორგი ბეჟიაშვილი ჯერ კიდევ ბავშვი თბილისში მიუბარებიათ შეგირდად მეფე თეიმურაზის ოქრომჭედილისათვის. გიორგი ბეჟიაშვილს დიდი ნიჭი გამოუვლინებია და საუკეთესოდ აუთვისებია ოქრომჭედლის პროფესია, ამავე დროს პარალელურად შეუსწავლია მხატვრობა და მრავალი ხატი შეუქმნია.

მეფე თეიმურაზის სიკვდილის შემდეგ გიორგი ბეჟიაშვილი ერთგულად ემსახურებოდა ერეკლე II. ერთგული სამსახურის ჯილდოდ მეფე ერეკლეს თბილისში მისთვის სახლი და დუქანი უბოძებია, ხოლო გიორგიწმინდაში „კოკონაურის“ სახლი და ვენახი. გარდა ამისა, თავისი ყმა გიორგი გაუაზატებია და მისთვის გვარი შეუცვლია, ოქრომჭედლიშვილის გვარი უბოძებია.

გიორგი ბეჟიაშვილი-ოქრომჭედლიშვილის შთამომავლები ახლაც ცხოვრობენ სოფელ გიორგიწმინდაში და იციან, რომ ისინი ერთი გვარის განაყოფები არიან.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, აგარაკმა „კოკონაურმა“ საუკუნეების განმავლობაში მრავალ ქარტეხილს გაუძლო და დღემდე მოაღწია, „კოკონაური“ დღეს ქალაქ საგარეჯოს შემადგენელი ნაწილია და მისი განაშენიანება მე-20 საუკუნის დამდეგიდანვე დაიწყო. ახლა „კოკონაური“ მჭიდროდ არის დასახლებული, როგორც ადგილობრივი – საგარეჯოელი და გიორგიწმინდელი, ასევე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსახლებული მოსახლეობით, მაგრამ „კოკონაური“ დღეისათვის ვეღარ ამაყობს თავისი ტრადიციული მეაბრეშუმეობით, საიდანაც თავისი სახელი დღემდე შემორჩა.

დღეს „კოკონაური“ დამშვენებულია თავისი ლამაზი დასახლებით, რესტორან „სახალხო სახლიდან“ ახალ საავადმყოფო-პოლიკლინიკამდე, იგი ითვლება საგარეჯოს ერთ-ერთ ლამაზ დასახლებად.

ჩვენს ქალაქში

მშობლის და სკოლის ვალი

ალვზარდოთ ჩვენი შვილები მართლმადიდებლებად

ლირსებსოვარი დღე სკოლაში

შპს „თამარ გარეჯელის“ სკოლაში 23 აპრილს დილიდანვე უჩვეულო ფუსფუსი შეინიშნებოდა, აქ ყველასათვის სასურველ სტუმარს სოფ. გიორგიწმინდის დვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარს მღვდელ მამა გიორგის (პავლოვს) ელოდნენ.

მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში სკოლამ ბევრ განსაცდელს გაუძლო, ორჯერ გაიარა ავტორიზაცია და ამასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა მოუხდა და სწორედ უფლის წყალობით სკოლა დარჩა და აგრძელებს საგანმანათლებლო მოღვაწეობას. იმ მიზნით, რომ უფრო მეტად მოგვეპოვებინა უფლის მფარველობა, დირექციის ინიციატივით და პედკოლექტივის მხარდაჭერით გადაწყდა, კიდევ ერთხელ გვეკურთხებინა სკოლის შენობა.

აღსანიშნავია, რომ სკოლის დირექციისა და მშობელთა ერთობლივი გადაწყვეტილებით სკოლაში ერთ-ერთ საგნად ისწავლება რელიგია. რელიგიის პედაგოგი ქეთევან ყორდანაშვილი წარმატებით ართმევს თავს თავის მოვალეობას. მოსწავლეებმა იციან ლოცვები, ტროპარები, საგალობლები. რაც მთავარია, ისინი გახდნენ უფრო მორწმუნენი და ეკლესიურები. სწორედ ქეთევან მასწავლებელი დაუკავშირდა მამა გიორგის და ჩვენი სათხოვარი გადასცა.

მამა გიორგიმ ჩვეული ენთუზიაზმით აკურთხა სკოლა, გაესაუბრა ბავშვებს, კმაყოფილი დარჩა მათი ცოდნით სარწმუნოების საკითხებში, მისცა რჩევა-დარიგებები. და, ბოლოს, მათთან და პედაგოგებთან ერთად გადაიღო სამახსოვრო ფოტოები. როგორც მამა გიორგის სჩვევია, ხელდამშვენებული გვესტუმრა: პედაგოგებს საჩუქრად გადმოგვცა ნაკურთხი ჯვრები, ხატები, სასულიერო ლიტერატურა, ბავშვებს კი ტკბილეული.

სკოლის კურთხევის შემდეგ მამა გიორგიმ აკურთხა საბავშვო ბაღის შენობა, პანაშვიდი გადაიხადა საბავშვო ბაღში არსებულ ალ. ცხვედაძის სიმბოლურ საფლავზე, აკურთხა ის ადგილი, სადაც მე-20 ს-ის დასაწყისში კომუნისტურმა რეჟიმმა დაანგრია იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია.

21-ე საუკუნეში უკვე არაფერი გვაკვირვებს, სასწაულებისაც აღარ გვჯერა, პრაგმატულები გავხდით თითქოს. სწორედ ამიტომ ჩვენი: უფროსების და პედაგოგების ვალია – მომავალი თაობა მეტად დავაფიქროთ სულიერებაზე, სარწმუნოებაზე, სიკეთესა და სიყვარულზე. ამისი მცდელობა იყო ეს დღეც, რომელიც უდავოდ დარჩება ჩვენი მოსწავლეების ცხოვრებაში ერთ-ერთ სასიამოვნო მოგონებად.



დარეჯან კერატიშვილი, შპს „თამარ გარეჯელის“ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

საგარეჯოს კოლორიტი

ხსოვნა



ანზორ ბურჯანაძე

4 მაისს ორი მძიმე წელი შესრულდა ანზორ ბურჯანაძის გარდაცვალებიდან. ოჯახს დიდი მეოჯახე, თბილი მამა, მზრუნველი მეუღლე და პაპა დააკლდა, საგარეჯოს საზოგადოებას კი ქართული ტრადიციების, ქართული ნიჭისა და მუსიკის დიდი თაყვანისმცემელი. ანზორი სოფელ გიორგიწმინდაში დაიბადა. მამა – თედო და დედა პელაგია როსტიაშვილი კარგად მღეროდნენ ქართულ-ხალხურ სიმღერებს და შვილებშიც მათ გაადვივეს ყოველივე ქართულის სიყვარული. სამივე ძმა – მიხეილი, ანზორი და ჯემალი მშობლების კვალს გაჰყვნენ და სამივე კარგად მღეროდა. მამა თედო და მისი ძმა გიგა დიდ სამამულო ომში იბრძოდნენ. თედო ერთ-ერთი ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილა, იწვა სანგარში და ქართულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა. სიმღერა ძმას – გიგას შემოესმა და მიხვდა, ასე მხოლოდ თედო თუ იმღერებდა. მიჰყვა ხმას და დაჭრილი ძმა ომის ქარცეცხლში სანგარში მომაკვდავი ნახა. თედომ იმავე სანგარში ძმის ხელებში დალია სული. სამამულო ომიდან ვეღარც გიგა დაბრუნდა. მალე ანზორის ძმა – მიხეილიც გარდაიცვალა. ოჯახის მწუხარების გამო ანზორს 3 წელი აღარ უმღერია.

საგარეჯოს კულტურის სახლში ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ანსამბლი მრავალრიცხოვანი იყო. მათ შორის ანზორი ყველაზე პატარა იყო. გუნდს ხელმძღვანელობდა ივანე მჭედლიშვილი. ოლიმპიადაზე გუნდი ყველგან უმაღლეს შეფასებებს იმსახურებდა. ანზორი სამხედრო-სავალდებულო სამსახურში ყოფნისას ქ. კოსტრომაში განლაგებული დივიზიის სიმღერის გუნდშიც მღეროდა. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ ანზორმა სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამბროლაურის საშუალო სკოლის სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად, ამავე რაიონის სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს მასწავლებლად. მღეროდა ანსამბლ „ქიზიყში“ – სოლისტად. პარალელურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. 1970 წლიდან იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საგარეჯოში. მუშაობდა სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად, მღეროდა რაიონის ვაჟთა სიმღერის გუნდ „გარეჯში“, პარალელურად ხელმძღვანელობდა სოფელ კაკაბეთის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერის გუნდსა და საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის სიმღერის გუნდს. აღნიშნულმა გუნდებმა სხვადასხვა დროს თბილისსა და რუსთავში გამართულ ოლიმპიადებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ანზორ ბურჯანაძემ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ მომღერალ ვაჟთა გუნდის წევრებთან ერთად სამჯერ მიიღო მონაწილეობა მოსკოვში გამართულ ოლიმპიადებსა და კონცერტებში, იყო რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, სადაც გუნდის წევრებმა უმაღლესი შეფასებები მიიღეს.

2007 წელს ანზორის ძმა ჯემალ ბურჯანაძე გარდაიცვალა, ხოლო 2010 წელს ანზორმაც გადაინაცვლა თავის საყვარელ მშობლებთან და ძმებთან.

ნათელში ამყოფოს მათი სულები უფალმა.

ანზორ ბურჯანაძის ოჯახი; საგარეჯოს ხალხური სიმღერების შემსრულებელთა თაყვანისმცემლები

თამაზ აზარიაშვილი



10 წელი გავიდა იმ ტკივილად ქცეული დღიდან, რაც შენ მარადიული ცხოვრების ბინადარი გახდი. ნიჭიერი, საოცრად გულთბილი, კაცთმოყვარე ადამიანში ყველა ის კეთილი თვისება იყო ღრმად ფესვგამჯდარი, რასაც ქართველობა და კაცური კაცობა ჰქვია. სულ 28 წლის იყავი, ერთ თვეში, ვარდობისთვეში 29-ის შესრულდებოდი.

აპრილის იმ მზიან დღეს მთელმა საგარეჯომ, შენმა სათაყვანებელმა მეგობრებმა გაგაცილეს საბოლოო გზაზე.

გვენანებოდი და დღესაც გვენანები შავეთისათვის, გვენანებოდი, რომ ერთი საქართველოზე შეყვარებული, ულამაზესი ვაჟკაცი ტოვებდა მზიანეთს და შავეთში ისე მიდიოდა, თავის მსგავს შვილებს, საქართველოს მომავალ გულშემატკივარს რომ არ ტოვებდა... მაგრამ, დღეს შენი ძმისშვილები – თამაზი და ანანო გვხვდებიან ქუჩაში, ლამაზები და შენსავით ალალები, გულიანები, გვახსენებენ შენს თავს და მათ მიმართ სიყვარული უფრო გვიორკეცდება, გვახარებს და გვეიმედება....

13 მაისს 39 წლის შესრულდი, თამაზ.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ილოცე შენი ძმისშვილებისათვის, შენი მშობლების, და-ძმისა და აქ, სააქაოში დარჩენილი, შენი მომგონებელი საგარეჯოელებისათვის.

ოჯახის ახლობლები

ქ. კოსტრომაში განლაგებული დივიზიის სიმღერის გუნდშიც მღეროდა. სამხედრო-სავალდებულო სამსახურის დამთავრების შემდეგ ანზორმა სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამბროლაურის საშუალო სკოლის სიმღერის გუნდის ხელმძღვანელად, ამავე რაიონის სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს მასწავლებლად. მღეროდა ანსამბლ „ქიზიყში“ – სოლისტად. პარალელურად მონაწილეობდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში. 1970 წლიდან იგი ოჯახთან ერთად ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საგარეჯოში. მუშაობდა სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს მასწავლებლად, მღეროდა რაიონის ვაჟთა სიმღერის გუნდ „გარეჯში“, პარალელურად ხელმძღვანელობდა სოფელ კაკაბეთის კულტურის სახლთან არსებულ სიმღერის გუნდსა და საგარეჯოს №1 საშუალო სკოლის სიმღერის გუნდს. აღნიშნულმა გუნდებმა სხვადასხვა დროს თბილისსა და რუსთავში გამართულ ოლიმპიადებზე მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

ანზორ ბურჯანაძემ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებულ მომღერალ ვაჟთა გუნდის წევრებთან ერთად სამჯერ მიიღო მონაწილეობა მოსკოვში გამართულ ოლიმპიადებსა და კონცერტებში, იყო რუმინეთში, ბულგარეთში, იუგოსლავიაში, სადაც გუნდის წევრებმა უმაღლესი შეფასებები მიიღეს.

2007 წელს ანზორის ძმა ჯემალ ბურჯანაძე გარდაიცვალა, ხოლო 2010 წელს ანზორმაც გადაინაცვლა თავის საყვარელ მშობლებთან და ძმებთან.

ნათელში ამყოფოს მათი სულები უფალმა.

ანზორ ბურჯანაძის ოჯახი; საგარეჯოს ხალხური სიმღერების შემსრულებელთა თაყვანისმცემლები

გიორგი სიმონიშვილი

ეს გაზაფხულიც დაიწყო და მიდის უშენოდ... 22 მაისს 22 წელი შეგისრულდებოდა, რომ არა ის ავბედითი დღე, რომელმაც სამარადჟამოდ 20 წლის დაგტოვა. მოგილოცავდით გიო, მაგრამ რა მოგილოცოთ, სად მოგილოცოთ?! გვჯერა, რომ უფალთან ხარ, რადგან დიდხანს ემზადებოდი ამისთვის, მაგრამ ეს ჩვენთვის შვება არაა. ნეტავ თუ გესმის ჩვენი სულის გოდება. თითოეული ჩვენგანის ცხოვრება შეცვალე, იყო ცხოვრება შენამდე, მაგრამ შენს შემდეგ აღარც გაზაფხული ჰგავს გაზაფხულს, აღარც სიხარული სიხარულს... თითქოს ყველაფერს უშენობის დადი ატყვია...

როგორ მოგვენატრე ბიჭო, შენი გულიანი სიცილით, შენი სხივიანი თვალებით, როგორ ვნანობთ, რომ ვერ დაგიცავით, რა ძნელია იმის შეგრძნება, რომ აღარაფერი შეგვიძლია და რეალობას ვერაფრით შევცვლით, ჩვენო დიდო ტკივილო...

რა არდასაკარგავი ვაჟკაცი დავკარგეთ. როგორ გვიჭირს უბედურ დედაშენს თვალებში შევხედოთ, თითქოს თავს დამნაშავეებად ვგრძნობთ, რა ვუთხრათ, რით ვანუგეშოთ შენი დამკარგავი.

იმ უბედურებამდე ნახევარი საათით ადრე ეკლესიაში მთასავით ვაჟკაცი დაჩოქილი ლოცულობდი, ნეტავ რას შესთხოვდი უფალს. როგორ გვჯეროდა, რომ გაუძლებდი და სიკვდილის მსახვრელი ხელი ვერ შეგეხებოდა... ეკლესიური წესით მხოლოდ ერთი დღე იყავი ნათლია. მანამდე კი იყო უბედნიერესი წლები შენი და შენი ნათლულის მეგობრობისა, რომლისთვისაც ცხოვრების ტრაგედიად იქცა შენი დაკარგვა.

ისევ დაგტირით ჩვენო შეუცვლელო მეგობარო და კვლავაც გიგლოვებთ, რადგან დამსახურებულად ატარე კაცური სახელი, ვალად დაგვიტოვე შენი ნაკეთები კეთილი საქმენი და ქედს ვიხრით შენი სახელის წინაშე...

ხსოვნა

იძინე მშვიდად, ჩვენო სიამაყევ, არასოდეს დაგივიწყებთ და არც იმ ადგილს დავივიწყებთ, სადაც გვეგულები...

„აქ შენს ნატერფალებს დავეძებთ და გნატრობთ,
თვალები ცრემლების უძირო ტბებია.
ჩვენო ზნეკეთილო, ჩვენო სადარდელო,
სიცოცხლე – მწუხარე გოლგოთის გზებია,
შენვე გაიყოლე ჩვენი გაზაფხული,
ოცი წელი და ცრემლი დედისა...“

მარად შენზე მგლოვიარე შენი ახლობლები

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს აუდიტორული ფირმა შპს „გარანტის“ დირექტორს ნათელა ჭიაბერაშვილს ძმის

ილია (არგელი) ჭიაბერაშვილის

გარდაცვალების გამო.

ფაშიზმზე გამარჯვების 67-ე წლისთავი

ჩვენებურები დიდ სამამულო ომში

საგარეჯოს რაიონიდან დიდ სამამულო ომში 4605 კაცი იღებდა მონაწილეობას, მათგან ომიდან 2889 კაცი აღარ დაბრუნებულა. საგარეჯოდან 425 კაცი დაიღუპა, პატარძეულიდან – 317 აღარ დაბრუნებულა, კაკაბეთიდან – 319, ყანდაურიდან – 299, გომბორიდან – 114, კოჭბანიდან – 86, უჯარმიდან – 59, კრასნოგორკიდან – 55, ხაშმიდან – 171, ნინოწმინდიდან – 194, გიორგიწმინდიდან – 200, მანავიდან – 284, ჩაილურიდან – 140, დუზაგრამიდან – 56, იორმუღანლოდან – 143.

თუ საქართველოში საბჭოთა კავშირის გმირი სამამულო ომიდან 164 კაცი იყო, მათგან ორი ჩვენი რაიონის მკვიდრი: პატარძეულელი გიორგი ბილანიშვილი და ყანდაურელი გიორგი გოცირიძე იყო.

საგარეჯოს რაიონიდან ომში ქალებიც მონაწილეობდნენ: მანანა მჭედლიშვილი, რუსუდან ხებრელაშვილი, ეთერ თედიაშვილი, ბაბულია თხელიძე (საგარეჯოელთა რძალი).

ეს ცნობები საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებმა მოგვაწოდეს, რომლებიც ათეული წლებია დიდი სიყვარულით და მოკრძალებით უვლიან იმ პატარა დარბაზს, რომელიც ომში წასულთა და უკან დაბრუნებულთა სიას, სურათებს ძლივს იტევს (სურათზე, მარცხნივ).

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის ვეტერანთა საქმეების წამყვანი სპეციალისტი ოთარ ურდულაშვილი ხუთი წელია, 2007 წლის ივნისიდან ემსახურება ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ომის მონაწილეთა საქმეების შესწავლას. აი, რა გვითხრა მან ჩვენთან საუბარში:

— 2007 წელს აღრიცხვაზე იყო ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 363 ომის მონაწილე, მათ შორის 147 — დიდი სამამულო, ხოლო 42 უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილე და 164 — ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე. ამჟამად დიდი სამამულო ომის მონაწილეთაგან ჩვენს შორის მხოლოდ 45 კაცია. ომში მონაწილეთაგან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მინიჭებული ჰქონდა გიორგი ბილანიშვილს და გიორგი გოცირიძეს. წითელი დროშის ორდენი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენი მინიჭებული ჰქონდა დიდ ჩაილურელ გიორგი ქევხიშვილს, რომელიც 100 წლის ასაკში მიმდინარე წლის 23 აპრილს გარდაიცვალა.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა შეძლებისდაგვარად ეხმარება ომის ვეტერანებს, ყოველწლიურად, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს — 9 მაისისათვის თითოეული მათგანი ჯილდოს სახით იღებს 100 ლარს, ხოლო პრეზიდენტის ფონდი 200 ლარით ასაჩუქრებს. ახალი წლის წინა დღეებში ომის თითოეულ მონაწილეზე გაიცა საახალწლო საჩუქარი, ყოველწლიურად, 9 მაისს იმართება კონცერტი, სადაც მოწვეული არიან ომის ვეტერანები, მათი ოჯახის წევრები.

„ჯერ 19 წლისა ვიყავი“



16 წლისაც არ იყო, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო, საგარეჯოს საშუალო სკოლაში სწავლობდა, 8 კლასი დაამთავრა და თბილისის ე.წ. „რემესლის“ სკოლაში გადავიდა ხელობის შესასწავლად. ისნის ფეხსაცმელების ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა და სულ მალე, 1944 წლის აგვისტოში სამხედრო-სავალდებულო სამსახურში – სამშობლოს დამცველთა რიგებში გაიწვიეს.

– თოფი მანამდე ხელში არ მჭერიაო, – იხსენებს საგარეჯოელი ვალერიან გოგიტაშვილი, – 19 წლის ვიყავი. ჩემთან ერთად საგარეჯოელი გიორგი შაქარაშვილი იყო. ერთხანს თბილისში, ორთაჭალაში ვიყავით დაბანაკებულნი, სადაც თოფიც დაგვაჭერინეს ხელში, სროლაც გვასწავლეს და პირდაპირ ე.წ. „პრიბალტიკის“ ფრონტის ხაზზე გაგვიშვეს თითქმის პირტიტველა ბიჭები. გული დაგვწყდა – მე და გიორგი სხვადასხვა ასეულში მოვხვდით, თუმცა ადგილმდებარეობით ახლოს ვიყავით. მალე გიორგი დაიჭრა. ერთ დღეს შეტევაზე გადავდიოდით და როგორც კი სანგრიდან ამოვედი, გვერდში ტყვია მომხვდა. ჰოსპიტალში მალე გამოჯანმრთელდი და ისევ ფრონტზე წავედი. ახლა მხარში მივიღე მსუბუქი ჭრილობა, მაგრამ ბრძოლებს ისევ მალე დავუბრუნდი. მესამედ კი, ჩემი ბედისწერით ქალაქ რიგის მისადგომებთან, შეტევისას ყუმბარის ნამსხვრევები თავში, სხეულის თითქმის ყველა ნაწილსა და ფეხში მომხვდა. ფეხზე ღია ჭრილობა მქონდა, ძალიან დიდხანს ვერ მირჩენდნენ და ეს მოურჩენელი ჭრილობა დიდი სამამულო ომის ყოველ წუთს მოსაგონებლად დღესაც მაქვს ფეხზე. თავში კი იმ ყუმბარის ნამსხვრევები „ასკოლკებს“ რომ ვეძახით, დღესაც მაქვს.

ის დღე, 1944 წლის 21 ნოემბერი დღეს ახსოვს ვალერიან გოგიტაშვილს. ან კი როგორ დაივიწყებს – მისი გადარჩენა ხომ სრულიად შემთხვევითობას მიეწერება. ორი რუსი ჯარისკაცი რომ არ დასდგომოდა თავზე და იმ საშინელი, ჯოჯოხეთური ომიდან საკაცით არ გამოეყვანათ – სისხლმდინარე, სისხლისგან დაიცლებოდა და აღარაფერი უშველიდა შემდეგ.

მათ კი, იმ ორმა ჯარისკაცმა საკუთარი სიცოცხლის ფასად ტყვიების წვიმასა და ყუმბარებისგან გაერთიანებულ ცასა და დედამიწას შორის დიდი ძალისხმევის ფასად გამოიყვანეს... იაროსლავის ჰოსპიტალში დიდხანს მკურნალობდა საგარეჯოელი ჭაბუკი. შედეგი არ ჩანდა – არ ხორცდებოდა ფეხზე მიღებული ჭრილობა, ამიტომაც 1945 წლის 23 აპრილს სახლში გამოუშვეს. იმდენად მძიმე ჭრილობა იყო, მოსკოვამდე ექთნის თანხლებით იმგზავრა. ყავარჯნებით ჩამოვიდა 1945 წლის 2 მაისს თბილისში. ჰოსპიტალში ქართველი ბიჭიკო ანდღულაძე უმძიმესი ჭრილობით იწვა. ისე დამეგობრდნენ, რომ შემდეგშიც დიდხანს სტუმრობდნენ. ახლა წუხს საგარეჯოელი, ბოლო წლებია აღარაფერი სმენია ბიჭიკოზე.

ომიდან დაბრუნების შემდეგ საბუღალტრო კურსები დაამთავრა. 1947 წელს საგარეჯოელ მარო შაქარაშვილზე იქორწინა და ჯერ ვერიკო, შემდეგ ნელი დაიბადა, მათ ცოტა მოგვიანებით სოსოც მიემატათ. შეხმატკბილებული, სიყვარულსა და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ოჯახი ჰქონდათ. ერთად 65 წელი იცხოვრეს. სულ რამდენიმე წლის წინ მეუღლე იმქვეყნიურ ცხოვრებას შეერთო...

დღეს კი ბატონი ვალერიანი თავისი განვლილი ცხოვრებით კიდეც ამაყობს და კიდეც კეთილი მოგონებებით იხსენებს. მუშაობდა მოანგარიშედ საგარეჯოს მანქანა-ტრაქტორების სადგურში, შემდეგ წყალთა მეურნეობაში დამხმარე მეურნეობის ბრიგადირად, ამავე ორგანიზაციაში იმუშავა 25 წელი საწყობის გამგედ. იყო უპრეტენზიო, მაგრამ მადალი პასუხისმგებლობის მქონე მუშაკი, მეუღლესთან ერთად თავს ეკლებოდა სამივე შვილს, შვილიშვილებს, ახლა შვილთაშვილებიც ჰყავს. ბოლო ორი წელიწადია მამა-პაპისეულ ვენახში თავის ხელით გაშენებულ საფერავს მარტო ვედარ უვლის – თვალის ჩინის დაკლებას უჩივის ნაფრონტალი კაცი. თუმცა, არ არსებობს შვილს რჩევა-დარიგებები არ მისცეს, ვაზს ხელი არ შეავლოს, არ გაუღიმოს და მისი მომგონი არ დალოცოს.

ზის სახლში, ელოდება სკოლიდან მოსასვლელ შვილიშვილებს – ვალერისა და მარიამს, რომლებიც აუცილებლად რაღაც ახალს, ზოგჯერ სასაცილოს მოუყვებიან, გააცინებენ, გაამხიარულებენ. ზოგჯერ თავადაც შემოუსხდებიან და ომის ამბებს მოაყოლებენ. საამაყო ხომ აქვს – ორდენი – ბრძოლისთვის, შეტევისათვის – თავნასახელებ 19 წლის ბიჭს, რომელსაც 13 ოქტომბერს 87 წელი შეუსრულდება.

ფაშიზმზე წარსულზე

ქართველები მეორე მსოფლიო ომში

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლში საბჭოთა კავშირის ჩართვის შემდეგ, ცხადია საქართველოსაც მოუხდა ფრონტის ხაზზე მეომრების გაგზავნა. მარტო პირველ წელს 100000 ჯარისკაცი გაიგზავნა, აქედან 6422 მოხალისე იყო. რა აწვალებდა? რა ამოძრავებდა ამ ხალხს? რა მოტივით წავიდნენ ისინი სასტიკ ომში? საინტერესოა... ალბათ მათ მართლაც სწამდათ „ერთიანი სამშობლოსი“, სჯეროდათ თავიანთი ქმედების.

საინტერესოა ისიც, რომ, ისეთი დიდი ქართველი მოღვაწე, როგორიც ლევან გოთუა იყო, ქართველთა თავგანწირვას, სამამულო ომში მონაწილეობას მართებულად არ მიიჩნევდა. იგი მალე დააპატიმრეს და „არალეგალური ფაშისტური ორგანიზაციის“ წევრობა დასწამეს, თუმცა მისმა მოსაზრებამ საზოგადოებაში, გარკვეულწილად, მაინც მოიკიდა ფეხი.

ნოე ჟორდანია და მის გარშემო მყოფი ემიგრანტები კი ეთანხმებოდნენ ომში ქართველთა მონაწილეობას და აშკარად ანტიგერმანულ პოზიციას იკავებდნენ.

ჩემი აზრით, ჩვენი წინაპრები, სამამულო ომის მონაწილენი, დირსნი არიან თავიანთი ქმედების დაფასებისა! მე ვამართლებ მათ ბრძოლას... მართალია, ჩვენ – რუსეთის იმპერიის ყოფილი ტყვენი, ომის დროს საბჭოთა კავშირის ნაწილი ვიყავით, მაგრამ ჩვენ რუსეთისთვის სულაც არ გვიბრძოლია. ეს იყო მსოფლიო ომი, სასტიკი, ამაზრზენი, რომელიც სხვა ტერიტორიებთან ერთად კავკასიასაც ემუქრებოდა! სასიხარულო, უფრო მეტად კი დასაფასებელია გენერალ ლესელიძის მიერ 42–ე არმიით კავკასიაში, ჩვენს მშობელ მიწაზე, დიდი ძალისხმევის შედეგად გერმანელთა შეჩერება.

არსებობს წყაროები იმის შესახებ, რომ ერთ–ერთი ქართული, გერმანიის ფრთის ქვეშ მებრძოლი ბატალიონი შალვა მაღლაკელიძის ხელძღვანელობით, კათალიკოს კალისტრატესა და აკადემიკოს ნიკო მუსხელიშვილის მხარდაჭერით საქართველოს „გამოხსნას“ აპირებდა. რეალურად კი, ვფიქრობ, ეს იქნებოდა უარესი განსაცდელი ქართველობისთვის. ფაშიზმი – ეს დიდი წყევლაა, რომელიც ღვთისმშობლის მეოხებით ასცილდა საქართველოს!

ხშირად ადარებენ ფაშიზმს და კომუნიზმს. ბევრია მათ შორის მსგავსება, მაგრამ დაუჯერებელია მკვეთრად ნაციონალური გერმანიის კეთილგანწყობა ერთი მუჭა საქართველოსათვის...

ჭეშმარიტი, ერთგული გმირები არიან ჩვენი წინაპრები! საუკუნეების განმავლობაში საქართველო იბრძოდა საკუთარი თავის გადასარჩენად. მეორე მსოფლიო ომში მან იბრძოლა ზოგადსაკაცობრიო საქმისთვის! კოლოსალური წვლილი შეიტანა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. თუნდაც, რად ღირს იტალიაში ქართველთა ანტიგერმანული პარტიზანული მოძრაობა... კიდევ ბევრი სხვა ჩვენთვის უცნობი ფაქტი...

დღეს, ჩვენი გადასახედიდან მეტად რთულია საკითხის შეფასება. მაგრამ, აშკარად ტყუის ის ხალხი, ვინც არ აფასებს ვეტერანთა დვაწლს!

დიახ, ეს იყო სამამულო ომი, სადაც ღირსეულად და ასი პროცენტით გამართლებულად იბრძოლეს ქართველებმა! ჩვენც უნდა ვხედავდეთ მათ გაკეთებულ საქმეს!

ნატო ონაშვილი,
საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის
მეთერთმეტე კლასის მოსწავლე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com